წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს

დადგენილება N34
30 სექტემბერი 2022 წ.

ქ. წალენჯიხა

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე

საქართველოს ორგანული კანონის ,,ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“ 24-ე მუხლის პირველი პუნქტის ,,ბ“ ქვეპუნქტის „ბ.ვ“ ქვეპუნქტისა და „დ“ ქვეპუნქტის „დ.ე“ ქვეპუნქტის, ,,საჯარო დაწესებულებაში შრომის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის მე-8 მუხლის მე-2 პუნქტის, ,,ნორმატიული აქტების შესახებ“ საქართველოს ორგანული კანონის მე-20 და 25-ე მუხლების, ,,პროფესიული საჯარო მოხელეების თანამდებობათა დასახელებებისა და იერარქიულ რანგებში განაწილების წესის, შესაბამისი იერარქიული რანგისათვის მიკუთვნებულ მოხელეთა თანამდებობების იერარქიული ჩამონათვალის განსაზღვრის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2017 წლის 26 აპრილის №215 დადგენილების შესაბამისად, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულო **ადგენს:**

მუხლი 1

განისაზღვროს და დამტკიცდეს წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობრივი რანგები, თანამდებობრივი სარგო და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა დანართი N1 -ისა და N2-ის შესაბამისად.

მუხლი 2

ამ დადგენილების ამოქმედებიდან ძალადაკარგულად გამოცხადდეს „წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობის რანგირების, მათი თანამდებობრივი სარგოს ოდენობის განსაზღვრისა და საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხის დამტკიცების თაობაზე„ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 18 იანვრის №1 დადგენილება.

მუხლი 3

ეს დადგენილება ამოქმედდეს 2022 წლის 01 ოქტომბრიდან.

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის
საკრებულოს თავმჯდომარე **კორნელი სალია**

დანართი1

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს თანამდებობის პირთა და სხვა მოსამსახურეთა თანამდებობების რანგირებები და თანამდებობრივი სარგოს ოდენობები

N	თანამდებობის დასახელება	თანამდებობრივი სარგო (ლარებში)	კოეფიციენტი
1	საკრებულოს თავმჯდომარე	3800	

2	საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე	2820	
3	საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე	2600	
4	საკრებულოს კომისიის თავმჯდომარე	2000	
5	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარე	2000	
6	საკრებულოს ფრაქციის თავმჯდომარის მოადგილე	1650	
7	პირველი რანგი - პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - აპარატის უფროსი	2200	2.0
8	მეორე რანგი - მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი	1760	1.6
9	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1430	1.3
10	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1320	1.2
11	მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1210	1.1

დანართი2

წალენჯიხის მუნიციპალიტეტის საკრებულოს აპარატის მოსამსახურეთა საშტატო ნუსხა

N	თანამდებობის/პოზიციის დასახელება	საშტატო რიცხოვნობა
	დაწესებულების პირველადი სტრუქტურული ერთეული - საკრებულოს აპარატი	
1.	პირველი რანგის პირველადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საკრებულოს აპარატის უფროსი	1
	მეორადი სტრუქტურული ერთეული -საკრებულოს აპარატის იურიდიული განყოფილება	
2	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - იურიდიული განყოფილების უფროსი	1

3	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
4	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
	მეორადი სტრუქტურული ერთეული -საკრებულოს აპარატის საორგანიზაციო განყოფილება	
5	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - საორგანიზაციო განყოფილების უფროსი	1
6	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2
7	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
8	მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	2
	მეორადი სტრუქტურული ერთეული -საკრებულოს აპარატის სამდივნო	
9	მეორე რანგის მეორადი სტრუქტურული ერთეულის ხელმძღვანელი - სამდივნოს უფროსი	1
10	მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
11	მესამე რანგის მეორე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1
12	მესამე რანგის მესამე კატეგორიის უფროსი სპეციალისტი	1